



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ი



KA000079360882417

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ. N49. Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.akrebula@gmail.com

№ 8

06 / მარტი / 2017 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ იფიოში მდებარე 210 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საზავშო მალის ყოფილი საქვანის ტერიტორია) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების თაობაზე დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „დგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის მეათე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქორის საფასურის, ქორის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 38-ე მუხლის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შემცირდეს სოფელ იფიოში მდებარე მუნიციპალური საკუთრების ელექტრონული აუქციონის წესით საპრივატიზებოდ წარდგენილი და გაუყიდავი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 210 კვმ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №50.12.34.256 საწყისი საპრივატიზებო ღირებულება - 5250 ლარი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 45%-ით და განისაზღვროს 2888 ლარით;
2. განკარგულება გადაეზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, ადმინისტრაციის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



თამაზი წიქელაური